განმარტებითი ბარათი

შენობა მდებარეობს ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზ. №34 გ-ში. შენობა წარმოადგენს სასწავლო დანესებულებას, კერძოდ საერთაშორისო ბაკალავრიატის სწავლებისათვის შ.პ.ს. "ევროპული სკოლას".

შენობა აგებულია წინა საუკუნის შეა პერიოდში. მიწისზევით იგი ოთხსართულიანი იყო, მასზე განხორციელებულია ორი სართულის დაშენება. ამჟამად შენობის სართულიანობა განსაზღვრულია ექვსი სართულით. შენობას პირველი სართულის ქვეშ გააჩნია ტექნიკური სართული.

არსებული შენობა გეგმაში **П**-ს მოხაზულობისაა და შესდგება სამი ნაკვეთურისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან გაყოფილნი არიან სეისმიური ნაკერებით. სამივე ნაკვეთური გეგმაში მარტივი მოხაზულობისაა.

შენობის საძირკვლის ტიპი ლენტურია, შენობას კონტურზე პირველი სართულის იატაკის ნიშნულამდე გააჩნია 50 სმ სიგანის მონოლითური რკინა ბეტონის საყრდენი კედელი. შენობის მზიდ კონსტრუქციათა სისტემას წარმოადგენს - წითელი აგურის კედლის წყობა ცემენტის დუღაბზე, 40 სმ სისქის. სართულს შეა გადახურვები რკინა ბეტონის ღრუტანიანი ანაკრები გადახურვის ფილებითაა განხორციელებული.

ოთხსართულიან შენობას დაშენებული აქვს კარკასული სისტემის ორი სართული.

ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზ. 34 გ-ში შ.პ.ს. "ევროპული სკოლის" ოთხ სართულიან შენობაზე 2 სართულის დაშენების პროექტისათვის განთავსების ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მასალების (სს "საქქალაქმშენპროექტი" "ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზ. 34ა-ში ევროპულ სკოლაზე 2 სართულის დაშენების პროექტისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები", თბილისი 2007 წ.) მონაცემების მიხედვით, არსებული შენობის საძირკველი ეფუძნება მყარპლასტიკური-რბილპლასტიკური თიხნარები /ფენა-3/, რომლებიც წყალგაჯერებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, საანგარიშო წინაღობით **RÁ**=1,8 კგძ/სმ^2;

გრუნტის წყლები დასაპროექტებელი ბეტონის კონსტრუქციების მიმართ ამჟღავნებენ სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

პორტლანდცემენტის სახ. სტანდარტი 10178-76 გამოყენებისას:

ა) სუსტად აგრესიულია **W4 - W6** და არააგრესიულია **W8** წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

ბ) პორტლანდცემენტის სახ. სტანდარტი 10178-76 კლინკერში ჩანართებით **C3S** არაუმეტეს 65 %, **C3A** არაუმეტეს 7 %, **C3A+C4AF** არაუმეტეს 22 %, წიდაპორტლანდცემენტის და აგრეთვე სულფატმდგრადი სახ. სტანდარტი 22266-76 ცემენტის გამოყენებისას არააგრესიულია **W4 - W6 - W8** წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

გრუნტის წყლები არ არის აგრესიული არმატურის მიმართ - წყლის გარემოში მუდმივად ყოფნისას და საშუალოდ აგრესიულია პერიოდულად ყოფნისას;

შენობის ვიზუალური შესწავლით დადგინდა:

ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზ. 34 გ-ში საერთაშორისო ბაკალავრიატის სწავლებისათვის შ.პ.ს. "ევროპული სკოლის" ექვს სართულიან შენობას, არ გააჩნია მნიშვნელოვანი დაზიანებები, შენობა იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკური მდგომარეობაში.

ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზ. 34 გ-ში საერთაშორისო ბაკალავრიატის სწავლებისათვის შ.პ.ს. "ევროპული სკოლის" ექვს სართულიან შენობაზე ეზოს მხრიდან უნდა განხორციელდეს მიშენება.

მიშენება შესდგება ორი ნაკვეთურისაგან:

1) I ხორციელდება ექვსი სართულის სიმაღლეზე - მაქსიმალური სიმაღლე 20,40 მ, გეგმაში შენობის გაბარიტული ზომებია 11.90 X 6.90;

2) II ხორციელდება სამი სართულის სიმაღლეზე - მაქსიმალური სიმაღლე 12,80 მ, გეგმაში შენობის გაბარიტული ზომებია 16.40 X 5.0.

შენობების საანგარიშო სქემა ჩარჩოვანია, შესრულებულია მონოლითურ რკ/-ბეტონში კლასით **B**-25 /მ-300/.

6 სართულიანი მიშენების საძირკვლად მიღებულია, მონოლითური რკ/ბეტონის ფილა. საძირკვლის ფილის სისქე 60 სმ-ია. 2 სართულიანი მიშენების საძირკველი ლენტურია - სისქით 40 სმ. საძირკვლები გაყოფილია სეისმიური ნაკერებით - 5 სმ.

საპროექტო მიშენებების საძირკვლის ფილისა და ლენტის ქვეშ ეწყობა შრეობრივად დატკეპნილი ნატეხოვანი მასალის მომზადება, ღორღის ან კენჭნარებისაგან ფრაქციით 20-80 მმ, რაზეც ეწყობა ბეტონის მომზადებას 100 მმ სიზრქითა და კლასით **B**-7,5 /მ-100/.

შენობის საძირკელსა და ბეტონის მომზადებას შორის გათვალისწინებულია ჰორიზონტალური ჰიდროიზოლაცია, ხოლო სარდაფში რკინა ბეტონის კედელზე ვერტიკალური ჰიდროიზოლაცია იხ კვანძები კ-5 და კ-6 ფურცლებზე. ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები მოეწყოს მშრალ ზედაპირზე;

საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით სამშენებლო უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

ბეტონის კლასი საძირკვლებისათვის **B**-25 /მ-300/.

კოლონები და რიგელები მონოლითური რკინა ბეტონისაა ბანივკვეთით: კოლონები 40X40 სმ, რიგელები 40X60 სმ და სარტყელი 40X20 სმ.

შენობის ჰორიზონტალურ სიხისტეს უზრუნველყოფს მონოლითური რკინა ბეტონის გადახურვის ფილები, სისქით 18 სმ. ბეტონის კლასი **B**-25 /მ-300/.

ჩარჩოების შევსება კონტურზე ხორციელდება ცალკეული ღრუტანიანი წვრილი ბლოკებით 30X40, გარედან ცემენტის ხსნარით შელესვით.

სახურავი ერთ ქანობიანია, ხის კოჭებზე.

დასკვნა:

ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზ. 34 გ-ში საერთაშორისო ბაკალავრიატის სწავლებისათვის შ.პ.ს. "ევროპული სკოლის" ექვს სართულიან შენობაზე ეზოს მხრიდან განსახორციელებელი მიშენება არ შეუქმნის საფრთხეს არსებული შენობის ტექნიკურ მდგრადობას.

კონსტრუქტორი: ლაშა ქალდანი.
ტელ: 593 277725
ელ.ფოსტა:
lasha.qaldani@mail.ru